წელიწადი მე-2-ე

ხუთშაბათი, 19 მაისი

# სამშობლო

№ 359

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

**ტელეფონი № 76**

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ევდუკი გიორგის ასული, ვასილ, იასონ, გიორგი, ნიკოლოზ (კოლია), ბაბილინა, ოლღა და ნინო კლდიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 16 მაისს, გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე, მეორეთა საყვარელი მამა

გრიგოლ გიორგის ძე კლდიაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს შვიდის ნახევარ საათზე, დენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება, პარასკევს, 20 მაისს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

172 2—1

ტიხონ ალექსანდრეს ძე ასათიანი და მეუღლე მისი ალექსანდრა გრიგოლის ასული ასათიანისა შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 მაისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დეიდის ქმარი

გრიგოლ გიორგის ძე კლდიაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $6^1/_2$ საათზე გასვენება 20 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე 175—1—1

საზოგადოება „სინათლე".

ხუთშაბათს, 19 მაისს,

ამაღლებას

ქალაქის ბაღში გაიმართება

დიდი საჯარო სეირნობა ლოტარია-ალეგრით.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

ჭრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევში სახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა-უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „ტრინდენისა". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოქგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. ¿-3 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87

14 თ

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

ჩამოსული რუსი სტუდენტი

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) ეძებს გაკვეთილს, ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, ათთიაქის მოწაფეთ, „გოლნოვოპრედელიაიუმსის" პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.

თანახმაა აგარაკზე გაკვეთილი აიღოს.

მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიაძეკო.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან **გასტროლები**

ლინა კავალიერისა.

დედამიწის ზურგზე ულამაზესი ქალი და ბრილიანტების დედოფლად წოდებული პირველად გამოდის ეკრანზე.

სიკვდილის მეუღლე.

დიდათ დასურათხატებული დრამა ხუთ ნაწილად.

**პროლოგი. ამ ქვეყნიური სამოთხე.**

1 ნაწ. პირველი დისონანსი, 2 ნაწილი სამოთხიდან გამოქცევა, 3 ნაწ. პარიზის ბოლში, 4 ნაწ. საბედისწერო სურათი, 5 ნაწ. მოშხამული ყვავილები. მოქმედება სწარმოებს რომსა და პარიზში. ეს დრამა საზოგადოებაზე უკვდავ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს სურათი ქ. მოსკოვში 32-ჯერ ზედიზედ იქნა ნაჩვენები და ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 23 მაისიდან **პატე ჟურნალი № 341.** მიმდინ. ამბები.

ქალი, რომელზეც არ ღირს ლაპარიკი.

ძლიერი დრამა 5 ნაწილად ვავიჩისა და პავლოვის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი № 340.** მიმდინ. ამბები.

ბრჭყალებში.

მხატვრული დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალის ესპერის და მსახიობთა ემილიონ ჭიონეს და ალბერტო კოლოს მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 23 მაისიდან ახალი პროგრამა. **ქრონიკა გომონი 38 გ** მიმდინარე ამბები.

ვნებათა ღელვა. ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირსა" და „რადიუმში"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 16 მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. რიგის აღმოსავლეთით, კურტენჰოფის მიდამოებში მოპირდაპირემ რკინის გზის ლიანდაგს ცეცხლი გაუჩინა. ჩვენი მფრინავები მარჯვედ ესროდენ ელექტრონის სადგურს, კომას დაბაში, ნაროჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთით.

**კავკასიის ასპარეზი.** რევანდუზთან ბრძოლა გრძელდება. ქურთები შეეცადენ ჩვენს სასურსათო ურმებს თავს დასხმოდნენ, მაგრამ მალე გავფანტეთ. ყაზახთა ჯგუფი ჩუმად მიუახლოვდა ქურთების ბანაკს სოფ. ზოვასთან და 150 ქურთი ამოსწყვიტა.

---

**პარიზი.** 15 მაისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. შამპანში, ჩვენმა არტილერიამ მტრის ყუმბარათა საწყობი ააფეთქა ვილსიურ-ტურმის მიდამოებში. მორტჰომის მიდამოებში, მაისის მარჯვენა ნაპირზე და აგრეთვე ტიომონის ფერმის დასავლეთ უბნებში საშინელი საარტილერიო ბრძოლაა. მთელი დღის განმავლობაში ქვეითა ჯარი სრულებით არა მოქმედობდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში დრო გამოშვებით არტილერია მოქმედებს.

**რომი.** 15 მაისი. ლაგორინოს ველებში მტერი რამდენჯერმე შეეცადა იერიშებით წინ წაწევას, მაგრამ ამაოდ. 13 მაისს, საღამოთი, რიო კამერესის სამხრეთით, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბუოლეს მიმართულებით, 14 მაისს, დილით მტერი სამჯერ იერიშით წამოვიდა, მაგრამ მოვიგერიეთ. ასტიკოს ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. რამდენიმე ადგილას მტრის რაზმები გავფანტეთ. ასიაგოს მიდამოებში 14 მაისს მტერი დაჟინებით მოიწევდა ასის ველის აღმოსავლეთ ნაწილებისაკენ, აგრეთვე კალმარარის ველზე 15 მაისს წყაროს დასავლეთით 157 ჯარის კაცი დავატყვევეთ. ჰუნგრელთა 8 ბატალიონი გავაქციეთ და 300 თოფი ხელთ ვიგდეთ. სენმიჯელის მიდამოებში, პატეონის აღმოსავლეთით მოპირდაპირის თხრილები ნაღმით ავაფეთქეთ.

**ლონდონი.** 15 მაისი. ინგლისის ცნობა. გუშინ ღამით, ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერმა იერიშები მოიტანა კოლონის აღმოსავლეთით, ვერც ერთმა ჯარისკაცმა ვერ მოაღწია ჩვენს თხრილებამდე. ეგიუტერნის ახლოს, მზვერავნი გავაქციეთ. დღეს დილით ადრე მოპირდაპირემ საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა ზელებკეს დასავლეთით. ბრძოლის დროს ხმარობდა მხრჩოლავს ბოლს და მედგრად ესროდა ჩვენი ჯარის შემაერთებელ თხრილებს. გერმანელებმა ნევილსენ-ვაასტის სამხრეთ აღმოსავლეთით, დოოსის აღმოსავლეთით საღმით ააფეთქეს ჩვენი თხრილები.

**ათინა.** 16 მაისი. მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა ბულგარელების მიერ რუპელის დაჭერის გამო.

**ჰავრი.** 15 მაისი. ბელგეთის ცნობა. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილში უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვაშინგტონში ბრიანს განუცხადებია, რომ ზავი მანამდე არ ჩამოვარდება, ვიდრე საბოლოოდ არ გავიმარჯვებთო.

---

ცნობილი თ დი ბიულოვი, რომელიც ომის დაწყებამდე იტალიაში იყო, ახლა იმპერატორ ვილჰელმს ვაშინგტონს გაუგზავნია ახალი მისიით. ბ-ნ ბიულოვს დავალებული აქვს, თუ ბერლინიდან განკარგულებას მიიღებს, ვაშინგტონის გავლენიან წრეებში ზავის სასარგებლოდ მოლაპარაკება დაიწყოს.

---

გერმანია დაჟინებით მოითხოვს, რომ მომავალი ზავის დროს უსათუოდ აღდგენილ უნდა იქნას პოლონეთის სამეფო.

---

ინგლისმა ეგვიპტეში მომქმედ ჯარის სარდლად დანიშნა გალიპოლისის ჯარის გენერალი მელიკი.

---

სერბიის პრემიერი პაშიჩი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს ბალკანეთზე გერმანელებმა საკმაოდ გააძლიერეს თავის ჯარები და სალონიკზე საერიშოთ ემზადებიანო. პაშიჩი მოითხოვს, შეთანხმების სახელმწიფოებისაგანაც ჯარის გაძლიერებას, რომ საქმე ჩვენის გამარჯვებით დაგვირგვინდესო.

---

სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია საზღვაო ბრძოლა და რიგის ყურეში გერმანიის ფლოტის შემოჭრა.

---

დვინის ფრონტის მიდამოები გერმანელებს სულ რკინის გზებით დაუქსელავთ. რკინის გზები მიმართულია მიტავა კრეიცერბურგ—იაკობშტადტისკენ.

---

ამას წინად ამერიკამ ინგლისის ფოსტის სხვა და სხვა ამანათი დააკავა, რის გამოც ნიუორკში მყოფმა ინგლისის დესპანმა ამერიკის რესპუბლიკის მთავრობას პროტესტი განუცხადა. ახლა, როგორც იტყობინებიან, საქმე მორიგებით გათავებულა.

---

გერმანიის რეიჰსტაგს ამ დღეებში დაითხოვენ ნოემბრამდე. რეიჰსტაგს ვადა გაუვიდა მომავალ იანვარში, მაგრამ, ომის გამო, ახალი არჩევანი დეპუტატებისა სხვა დროისთვის გადაიდება.

---

ათინაში დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ამ მოკლე ხანში გერმანია-ავსტრია ოსმალეთ ბულგარეთის ლაშქარი სალონიკს შეებრძოლებაო. სალონიკისკენ წასულა ბულგარელ გენერლის ბოიაჯევას ჯარი.

---

ვარდარის (ბალკანეთზე) მიდამოები შეთანხმების სახელმწიფოებს სულ წყალით აუვსიათ. ვარდარისკენ ბულგარელები ახალ ჯარებს ჰგზავნიან.

---

ასკვიტს ლონდონის ზედა პალატაში კაბინეტის სახელით პროექტი შეუტანია, რომ დაუყონებლივ მიენიჭოს ირლანდიას სრული ავტონომიური უფლებაო.

---

დობრუჯასა და რუმინიის ბესარაბიაში დიდი წყალდიდობაა. წყალდიდობამ წაჰლეკა ნათესობა და შენობები.

---

რიგის მიდამოებში მოპირდაპირენი მეტად დაუახლოვდენ ერთმანეთს, სულ 10 ფეხის ნაბიჯზე. ბრძოლა ტყვიის მფრქვევლებით სწარმოებს.

---

დარევთან გაცხარებული ბრძოლაა. გერმანელები იერიშებით მიჰრილან რუსების თხრილებთან, მაგრამ ტყვიის მფრქვევლისა და ხელით სასროლ ყუმბარების ცეცხლით უკუ უგდიათ.

---

მინსკის მიდამოები აზვირთებულ ცეცხლის ალშია გახვეული, ორივე მოპირდაპირე მხარე აქ გაშმაგებით იბრძვის. ბრძოლა უმეტეს წილად ხელით სასროლ ყუმბარებით ხდება.

# ომის დღიური.

**ვერდენის** ასპარეზზე გერმანელები განაგრძობენ დუომონის მიდამოების გასწვრივ მძაფრ შეტევას. ფრანგები პოზიციურ ბრძოლას აწარმოებენ.

**კავკასიის ასპარეზზე** რევანდუზასთან დიდი ბრძოლა სწარმოებს. აქ თავი მოუყრიათ ოსმალთა და ქურთთა ლაშქარს.

**რუსეთის ასპარეზზე** გერმანელები უმთავრეს ყურადღებას კვლავ რიგა-დვინის რაიონს აქცევენ და იქ დიდძალი ჯარი გადმოყავთ.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები იტალიელების ტერიტორიაზე უკვე შეჭრილან და შეტევას განაგრძობენ.

---

ლიტვის სამართველო მთავრობის მოხელეთა სარეზიდენციო ქალაქად გერმანიის მთავრობამ ქ. ტილზიტა დანიშნა.

——

ბრესტლიტოვსკის რაიონი ცალკე სამხედრო ოლქად გამოაცხადეს.

ბელოსტოკში გერმანელებს საალყო წესები შემოუღიათ. ქალაქში 30000 მცხოვრებია. სანოვაგე ბარათების მიხედვით იყიდება.

——

ტრიენტოში იტალიელები უკან იხევენ.

——

იმპერატორ ვილჰელმს მოუწვევია მინისტრთა თათბირი და განუცხადებია, რომ ომი ახლა უკვე მალე გადაწყდებაო.

——

სუეცის არხთან გამოჩნდა ინგლისელების დივიზია.

——

კუტ ელ-ამარესკენ ენვერ ფაშა საჩქაროდ წასულა. ამას იმით ხსნიან, რომ კუტ-ელ-ამარესკენ ინგლისელების ჯარი დაძრულა.

——

კავკასიის ასპარეზზე ოსმალებს სულ 450,000 ჯარის კაცი ყოლიათ.

——

ამას წინად ცნობა იყო, ვითომც შავ ზღვაში „ბრესლაუ“ და ოსმალთა სხვა ნაღმოსნები შემოჭრილიყონ, ეს ცნობა ოფიციალად უარყვეს.

——

ჩინეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა, იუან შიკაი უკვე გადადგა.

——

მონღოლეთში განაგრძობენ რუსის ვაჭრებისა და მოხელეების დევნას.

——

სტამბოლში თალაათბეიმ შეიჰულისლამი ინახულა, აუხსნა ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა და შეიჰულისლამს რელიგიური გზით ზომების მიღება სთხოვა.

——

სტამბოლში დააპატიმრეს ერთობისა და პროგრესის პარტიის ორი წევრი, რომელთაც აბდულ ჰამიდის საიდუმლო აგენტობას სწამებენ.

——

სპარსეთში ჩასულა ავსტრიის აგიტატორი ჰერმენი.

——

ავღანისტანში საომარი მზადებაა. ინგლისის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ავღანისტანელთ ამოძრავებას.

——

ჰინდენბურგი დვინის ფრონტის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

——

ამ ჟამად ძლიერ მოუხშირეს ზავზე ლაპარაკსა და წერას. ამ საგანზე განსაკუთრებით მუშაობენ ნეიტრალ სახელმწიფოებში ამ უკანასკნელ დროს შვეციაშიც შემდგარა ერთი ჯგუფი, რომელიც უანექსიო ზავის ჩამოგდებას მოითხოვს. ამბობენ, ზავის შესახებ ლაპარაკი და სხვადასხვა კერძო თათბირი სულ გერმანიის დაპლომატიის საქმეაო.

## კიდევ საზიზღარი ცილისწამების გამო.

ჩვენი გაზეთის 356 ე №-ში დაბეჭდილი იყო „სოხუმის სასოფლო სამეურნეო საცდელ სადგურის ბიულეტენის „საზიზღარი ცილის წამება“ აფხაზების წინააღმდეგ.

ამ საზიზღარ ცილისწამებას „სუხუმსკ. ვესტ“ ფურცლებზე სოხუმის ოლქის სამხედრო გენერალმა ზასიპკინმა ღირსეული პასუხი გასცა, რომელი პასუხიც სავსებით მოგვყავს აქ.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

— ამას წინად დაბეჭდილ საზიზღარ ცილისწამების გამო, საჭიროთ ვსთვლი საჯაროთ და დაბეჯითებით გამოვაცხადო, რომ არა თუ რაიმე ნიშნები იყო აფხაზების აჯანყებისა, არამედ მათი სულიერი განწყობილება და მამუღიშვილური გრძნობა უკდრეს წერტილამდე აღწევსო.

გენ. ზასიპკინი.

გენერალ ზასიპკინის განცხადების ქვეშ დაბეჭდილია ერთი პროტესტი, რომელსაც ხელს აწერს რამდენიმე პირი, და რომელნიც აცხადებენ, რომ „მრავალტანჯულს პატარა აფხაზეთს, რომელიც ყველასთან კარგ განწყობილებაშია და თავის გულკეთილობას იჩენს, რუსის საზოგადოების წინაშე მეგობრობის მეტი არაფერი მიუძღვის ნუ თუ იგი ასეთი შეუფერებელ ცილის წამების ღირსიაო. ასეთ პროვოკაციებს, ჩვენის ფიქრით, ამბობენ ხელის მომწერნი, კაცობრიობის სამართლიანი მოსარჩლენი ღირსეულ პასუხს გასცემენო“.

ხელს აწერენ:

დ. ვ. ზახაროვი, ა. ნოვიკოვი, ვლ. ჯუღელი, ნ. ცინცაძე, ტ. შათირიშვილი გ. კუკერაძე, ვ. ალანია, ვ. რამიშვილი, ლ. ესვანჯია, დ. ლდგებუაძე გ. შანშიაშვილი, ი. ვადაჭკორია, კ. მელაძე, იუსტ. ჩიქოვანი, ი. მუმულია, გრ. მახარაძე, მ. კოიავა და ი. ჯანჯღავა.

მოხსენებულ პირთა სამართლიან განმარტებასა და პროტესტს ჩვენ დავუმატებთ, რომ დრო არის ახლა მაინც ჩასჩუმდენ ჩვენი ქვეყნის მტრები და საზღვარი დაუდვან თავის უგვანო გამოსვლებს. დროა შეიგნონ ამ ვაჟბატონებმა, რომ თავისი პროვოკაციებით ფონს ვერ გავლენ და ვერც არავის დაარწმუნებენ აფხაზთა მოღალატეობაში. იმ პირებს კი, რომელთაც ეჭვი ეპარებათ აფხაზთა ერთგულობაში რუსეთის სახელმწიფოსადმი, მიმართონ რუსეთის მთავრობის ოფიციალ წარმომადგენელს, გენერალ ზასიპკინს, და იგი მისცემს ღირსეულ პასუხს.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ 17 მაისის კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინა: მიეცეს სამეურნეო სასწავლებლის ორ ქართველ მაჰმადიან მოწაფეს სრულ სამოსწავლო წლის განმავლობაში 100 მან. სტიპენდიათ, 50 მანეთი გაეგზავნა ახლად გარდაცვალებულ მგოსან იროდიონ ევდოშვილის ოჯახობას თბილისში და აგრეთვე დახმარება აღმოეჩინათ რამდენიმე აჭარელ ლაზებისთვის.

◆ სოხუმის ბანკის მდგომარეობის გამო, ამრჩევლებს სამი დღის წინათ მიუმართავთ თხოვნით ადგილობრივ მდიდარ ვაჭრისათვის ბ. გოკიელოვისათვის მიელო თავზე ბანკის თავჯდომარეობა. მას სურვილი განუცხადებია უსასყიდლოთ, მხოლოდ იმ პირობით, თუ თანაშემწეთ ეყოლებოდა ბ. გიგინეიშვილი ყვირილის ბანკის თავჯდომარე და ერთი ბერძენი ფიოპულო, რაც ამომრჩევლებს აუსრულებიათ.

◆ სამშაბათს, 25 მაისს, ქალაქის თეატრში მსახიობი ქალის მარო მდივნისა და სხვა მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ალ. ყაზბეგის რომანიდან (მოძღვარი) ბ. X მიერ გადმოკეთებული პიესა „მოძღვარი“ დრამა 8 სურათად.

◆ დ. ახალ სენაკში არსებულ დრამატიულ წრეს განზრახვა აქვს საზაფხულო სეზონში მოიწვიოს რამდენიმე ქართველი მსახიობი წრის სახელმძღვანელოდ.

◆ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის რვა კლას დასრულებულ ახალ სტუდენტებს 26 მაისში ექნებათ გამოცდები სამხედრო ვარჯიშობაში, რის შემდეგაც მათ დაურიგდებათ სიმწიფის მოწმობები.

◆ შაბათს, 14 მაისს, დ. აბაშაში ქართველ მსახიობთა ალ. გუგუშვილისა და ლ. სარელის მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა, წარმოდგენილ იქნა ვალ. გუნიას „სიძე სიმამრი“ კომ. 3 მოქ. და „რუკი ვერხ“ ვოდ. 1 მოქ. როგორც გადმოგვცეს, წარმოდგენას დასწრებიან მთვრალი პირებიც, რომლებსაც თავისი ცუდი საქციელით წარმოდგენისათვის ხელი ძლიერ შეუშლიათ. მსახიობები იძულებული გამხდარან წარმოდგენა შეეწყვიტათ. წარმოდგენას ხალხი ბლომად დასწრებია.

◆ ამ მოკლე ხანში დ. ახალციხეში მსახიობ-რეჟისორის შალვა დადიანის, ელო ანდრონიკაშვილისა და ანდრო მურუსიძის მონაწილეობით გაიმართება რამდენიმე ქართული წარმოდგენა.

◆ სოხუმში დაარსდა ბავშთა მზრუნველი საზოგადოება. ბ-ნმა ა. ი. კონშინმა ამ საზ. შესწირა 20 ათასი მანეთი, ქალაქის გამგეობამ დაუთმო შენობისათვის ადგილი და წლიურ სუბსიდიათ დაუნიშნა 800 მან.

◆ მეფის ნაცვალს უმაღლესათ ნება ებოძა, ომის დროს თვითონ დააჯილდოოს ისეთი პირები, რომელნიც ღირსნი იქნებიან.

◆ გუშინ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის დარბაზში დაიწყო ახალგაზდა (18 წლიან.) ჯარის კაცთა მობილიზაცია.

◆ ქალაქის სა[illegible] წევს მოხუცებული სტეფანე მურმანიშვილი შორაპნის მაზრ[illegible] თქმით, ამ ერთი კვირის წინათ იგი წამოსულა ყვირილიდან ქუთაისს და სად. რიონიდან შეცდომით გაყოლია ბათომის მატარებელს. რადგანაც მას ბათომში მიმავალი ბილეთი არ ჰქონებია, ამიტომ ვილაც კონდუქტორს იგი ძალით გადმოუგდია მიმავალ მატარებლიდან. მოხუც მურმანიშვილს ტანი და პირის სახე სრულიად დამტვრეული აქვს. ასეთი საზიზღარი მოპყრობა მგზავრებისადმი მატარებლებში ხშირი მოვლენაა. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს რკინის გზის სამართველომ.

◆ ქ-ნ მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფეებს კვირას 15 მაისს, უკვე დაეწყოთ გამოცდები. გამოცდებზე დასასწრებად სამოსწავლო მთავრობამ დანიშნა ბ-ნი სისოევი. გუშინ მათემატიკაში იყო გამოცდა. დღეს კი — ქართულში.

◆ ქართულ გიმნაზიაში მეექვსე და მერვე კლასის მოწაფეთა გამოცდები 13 ივანობისთვეს დასრულდება

◆ ხუთშაბათს, 19 მაისს, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო ჰმართავს ამავე გიმნაზიის შენობაში დილის 12 საათზე „ფინჯან ჩაის“ ბაზრით, რომლის მიზანიც არის: გააძლიერონ წრის ფონდი, საიდანაც ეხმარებიან სწავლის ფასის შეტანაში ღარიბ მოწაფეებს შესვლა უფასოა. „ფინჯან ჩაი“-ზე სტუმართ მიართმევენ ჩაის, ყავას და სხ. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. იმედია, ამ მეტად სიმპატიურ განზრახვას პატივცემული ქუთაისის საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს და „ფინჯან ჩაიზე“ დასწრებით თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ღარიბ ახალგაზდობის სწავლა-განათლების საქმეში.

◆ შაბათს, 21 მაისს, ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება, ცნობილი ტრაგედია შექსპირისა, „ოტელო“, ამ პიესისათვის მოწვეულია თბილისიდან ბ. ალ. იმედაშვილი, რომელიც შეასრულებს, „ოტელოს“ როლს. აგრეთვე მოწვეულია ქ. მდივანი, რომელიც შეასრულებს „დეზდემონას“, „იაგოს შეასრულებს ალ. ყალაბეგიშვილი. განსაკუთრებული ტანისამოსები ამ პიესისათვის დაბარებულია თბილისიდან.

◆ სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ ამ რამდენიმე ხნის წინათ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუ

---

## პირველი სიყვარული.

„საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
„ძნელ-და ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი“!

ნ. ბარათაშვილი.

* * *

გაზაფხულდა!

ზურმუხტად აბიბინებულ მთის კალთებზე აქა-იქ კიდევ მოსჩანდა თოვლის თეთრი ნაკვთები...

მზის სხივთ ბასრი ისარი სტყორცნეს ლიკლიკა შხუილას, გათოშილი გულმკერდი დაუკოდეს:

ანკარა გაბრაზდა, გაგულისდა, გაშმაგებული ველარ დაეტია კალაპოტში-შეიფთხრიალა, მოიგლიჯა ლურჯი პირსაბურავი, მოიცილა მოდუდუნე, ზლაზნია მდინარის შესართავამდე, აგორებულ ზვირთთა გროვას ჩააბარა, თან გაატანა და გამოემშვიდობა უკანასკნელად...

გამოიმგლოვა ზამთარი!

მწვანე-ხავერდოვან ჯეჯილს გულში ჩახუტებოდი საპატარძლოთ, გამოწყობილი, მოკეკლუცე ყელყელა ენძელა გაზაფხულის მახარობელი; მას არც სხვა ყვავილნი ჩამორჩენოდენ და უხვი ფერადებით მოექარგათ ზამთრის სუსხ გადარჩენილი გლეხის იმედი.

შორი ტყიდან მკაფიოდ მოისმოდა „ბიჭო გოგია!“

ოქროს ნისკარტას კისკის-ჭახჭახმა ძილი დაუფრთხო მიყუჩებულ ჭალაკს; ბოლო მაკრატელა რამდენჯერმე ასრიალ-ჩასრიალდა ჰაერში, მოძებნა შარშანდელი მიტოვებული ბუდე ძველი დარბაზის დერეფნის კუთხეში და თავისებურად ჩაუკრიმანჭულა-მიესალმა.

* * *

ჩამავალმა მზემ ალისფრად შეღება ცის გუმბათი და სხივთა ჯილა დაადგა დასავლეთს...

სოფელი ვაშლოვანი ახმაურდა:

მინდვრიდან მომავალ მწყემსთა სიმღერამ გამოაფხიზლა იგი... ცხვარ-ძროხათა გამოძახილს ჩვილი ბატკან-ხბო გამოეხმაურა... ყველას სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო...

ნიკო მარღიაშვილი კი სოფლის ბოლოს, შხუილზე გადამდგარ კონცხზე ჩამომჯდარიყო და თვითონაც არ იცოდა, სად, ოცნების რომელ სამთავროში, დაფრინავდა მწარე ფიქრებით გატაცებული.

მას ამოჩემებული ჰქონდა ეს კონცხი, რომლისაც ხშირი სტუმარი შეიქნა ამ ბოლო დროს... მხოლოდ აქ, ამ მყუდროებისა და მშვიდობიანობის სავანეში გამოებაასებოდა იგი გაბედულად თავის შინაგან „მეს“, განმარტოებული, უმოწმოდ. მისი ერთგული იყო ცივი უსულგულო კონცხი, არ გასცემდა, არავის გაუმჟღავნებდა მის საიდუმლოს... მას შესჩივლებდა ნიკო, უხმოდ, გრძნობით, გაუზიარებდა გულის ნადებს...

ამ საღამოსაც დიდხანს იჯდა!

სულ განაბული რაღაცას უგდებდა ყურს ..

ნელი სიო ოცნების მანდილივით შემოეგრაგნა სახეზე, მთელ ტანზე... სიცივე იგრძნო, სიცივე სულისა... აფოთლილი ტყის საიდუმლო შრიალი გაისმა. . ღამის იდუმალებით გატაცებული ფოთოლნი ურთიერს ეაშიკებოდენ, ეალერსებოდენ, სიყვარულს უცხადებდენ...

„მთელ ზამთარს გაძარცული იყო ტყე“ —ფიქრობს ნიკო,—„დადგა გაზაფხული და ისიც ტრფიალით მიეგება—უნდა დასტკბეს სიცოცხლით, მოსტაცოს მას უმანკოების პირველი ამბორი... მე? მე რაღა დავაშავე?! ჩემთვის როდის-ღა გაზაფხულდება? ნუ თუ ვერ ველირსები, ნუ თუ სულ ზამთარში უნდა გავატარო ჩემი დღენი! ნუ თუ ცხოვრება დედინაცვლად მომევლინა და მე მისი გერი ვარ! აკი ისე გაფურჩქნული იყო ჩემი „გაზაფხულიც“!. მაშ რაღად მოსწვა იგი „მარტის სიცივე-ცხოვრებამ-?.,

გულზე სისხლი მოაწვა... გაბრუვდა... ათასგვარ მოგონებათა ხლართებში გაება ნიკოს სული... თვალები მილულა, განმარტოება უნდოდა, მაგრამ ამაოდ.

მნათობთა ხომლით მოჭედილ ცას კვლავ შრიალით მიესალმა ტყე და ნიკოც გამოერკვია...

„გაზაფხული, პირველი ამბორი, მიჯნურთ პირველი ამბორი“!—განაგრძობს სრბოლოს ფიქრთა აუარებაში,—მაშინაც ასე ვიყავ გადამჯდარი ამ კონცხზე შეუმჩნევლად მომეპარა ზურგიდან, მომხვია ხელი და უსიტყვოდ ჩაეჭვდნენ ერთმანეთს ჩვენი ბაგენი და... მოვსწყვიტე პირველი ამბორი—მიჯნურის პირველი ამბორი! მაშინაც ისე შეჰხაროდენ ურთიერთს მთვარე-ვარსკვლავნი, ლიკლიკა და მისი იავარდით მოკაზმული ნაპირები

„მერე განა ისე დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რომ მხოლოდ შავი აჩრდილი უბრალო მოგონება-ღა დარჩა იმ სანეტარო განცდათაგან?! ჯერ ხომ მხოლოდ ერთი წელიწადია და ასეთი სამსალა, ასეთი მწარე დაცინვა ბედისა!

„მაგრამ არა... პირველი ამბორი არ აღმოიფხვრება ადამიანის ხსოვნიდან: მან, მიჯნურთ პირველმა ამბორმა, ამიხილა თვალები, ბინდი ჩამოაცალა მათ, მან ჩამახედა, მან შემაგნებინა ცხოვრების შინაარსი .. ის ხომ აღარაოდეს არ მეორდება. . მას ხომ ვერ ასწერს, ვერ დაასურათებს ვერც ერთი მხატვრის გრძნეული ხელი; ის საზღვარ დაუდებელი რამ არის: არა აქვს დასაწყისი – არც დასასრული.. აგორებული ზვირთია, გაშმაგებული ოკეანის ყოვლის მსხვრევი სტიქიონია!.. მას ვერა გადაელობება-რა წინ, ვერა დააბრკოლებს-რა — ვერავითარი მიწიერი და ზეციური ძალა ვერ შებორკავს, ვერ შეასუსტებს მის ძლიერებას.

„მიჯნურთ პირველი ამბორი ერთხელ მხოლოდ ერთხელ, განიცადეს პირველ ადამიანებმა და ისე ძვირად დაუჯდათ...

მათ წინათვე იცოდენ, რომ განდევნა მოელოდათ ედემის წალკოტიდან, მაგრამ მაინც ვერ აღუდგენ წინ პირველი ამბორის მწველ ურთიერთობისადმი ლტოლვას და დასთმეს სამოთხის მშვენება... წამიერი განცდა-ნეტარება ამჯობინეს სამარადისო კმაყოფილებით სიცოცხლეს.

„მიჯნურთ პირველი ამბორის გვირგვინი დაიდგეს თავზე, რომლის მსგავსითაც არც ერთი გვირგვინოსნის შუბლი არ ყოფილა შემკულ დამშვენებული“.

ასეთ ფიქრებში იყო გართული ნიკო.

ჩამორჩენილი წეროსავით, მიწოწიალობდენ ღრუბელთა ნაგლეჯები...

მთვარემ აშოიკაშკაშა...

* * *

ელენე და ნიკო სულ ახალი დაბრუნებული იყვნენ საქორწილო მოგზაურობიდან ..

მათ ჯვრისწერას საშინელი ტრაღედია მოჰყვა—მეორე დღეს რევოლვერის ტყვიით მკერდ-განგმირული ნახეს ელენეს მამის ბაღ-ვენახების გამგე და მეურნე შალვა ვარდოშვილი, რომლის ქაღალდებიც წითელი მელნით ნაწერი პაწია ბარათი ნახეს შემდეგი შინაარსის „ბედმა მიმუხთლა, მწარედ დამცინა .. ველარ გავუმკლავდი ცხოვრების ულმობელობას, ჩემ გრძნობა-განცდათა მსხვერპლი შევიქენი და ერთი ხელის მოსმით ვასწორებ ანგარიშს ბატონ – ცხოვრებასთან“...

შალვას სიკვდილმა საშინელი გავლენა იქონია ელენეს მამის ოჯახზე: ღვიძლი შვილივით უყვარდათ, მისი საქმის მუყაითობისა და ერთგულობის წყალობით.

ელენე ხომ მწარე საგონებელში ჩააგდო მისმა ასეთმა ნაბიჯმა. . მას, ელენეს, თუმც წინათვე ჰქონდა აღებული ეჭვი, რომ უყვარდა შალვას, მაგრამ თავის ღირსად არ სთვლიდა ის... გრძნობას ყოველთვის გონებას უმორჩილებდა, ელენეს სულ სხვა გვარი შეხედულება ჰქონდა შემუშავებული სიყვარულზე; მისი აზრით, სიყვარული შესაძლებელი და დასაშვებიც იყო მხოლოდ ერთი წრის, გონებრივ განვითარების ერთნაირ საფეხურზე მდგომ ქალ-ვაჟთ შორის, ამ შემთხვევაში კი შალვა და ელენე უცხონი დარჩებოდენ, მათი სულნი ვერ იცნობდენ ერთი მეორეს რადგან შალვა „უბრალო დაქირავებული მებაღე“ იყო, როგორც უწოდებდენ მას ელენეს მამის ოჯახში და ელენე კი უმაღლესად განვითარებული.

— ქალბატონო ელენე, ვსთქვათ ვინმე უბრალო მომაკვდავს, აი, თუნდ ჩემსთანას, უყვარხართ თავდავიწყებით, მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი მოიტანოს თქვენი გულისთვის, თქვენ კი მხოლოდ თანაუგრძნობთ, არ გიყვართ... რას იზამდით, რომ ასეთმა ადამიანმა გთხოვოთ ცოლობა, წაჰყვებოდით თუ არა?—შეეკითხა ერთხელ შალვა, როდესაც ერთად დასეირნობდნენ ელენეს ქალაქიდან ახლად ჩამოსვლის ხანს და ბაღს ათვალიერებდნენ.

— მართალი უნდა გითხრათ, ჩემო შალვა, ნება მომეცით, რომ ასე მოგმართოთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პატარაობიდანვე თითქმის ერთადა ვართ შეზდილი, რა ვუყოთ, რომ შემდეგ დავშორდით ერთმანეთს, ეს ჩვენი ბრალი არ არის, მეორეც დიდიხანია ჩვენს ოჯახში ხართ შინაურივით,—მიუგო ელენემ,—უნდა გითხრათ, რომ ქალისთვის არსებობს სიყვარული მხოლოდ გათხოვებამდე, ჯვრისწერამდე, შემდეგ კი, თუ ის ნამდვილი ადამიანი-ქალია, მას აღარ შეუძლიან სიყვარულზე ფიქრი, რადგან სიყვარულზე გაცილებით უდიდესი მოვალეობა ელის მას—ოჯახის მოვლისა და დედის მოვალეობა—ეს ისეთი უწმინდესი რამ არის, რომ სიყვარულზე ფიქრი მას აღარ შეეძლება, თუ ოჯახის მოვლასა და შვილის აღზრდას დაისახავს მიზნად. და თუ ქმარს ნამდვილად უყვარს ცოლი, ესეც დიდი ბედნიერებაა მისთვის. .

ნველის წინაშე, ნება დართოს ქალაქის საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში მიიღონ წლოვანებაზე გადაცილებული მოწაფეები. ამის შესახებ სოხ. ქალაქის გამგეობას ატყობინებს სამოსწ. ოლქის მზრუნველი, რომ ასეთი შეღავათის მიცემა არ შეიძლება, რადგან ეს საკითხი მხოლოდ კანონმდებლობის წესით უნდა გადაწყდეს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. დიდი-ჯიხაიშის მცხოვრებს ალექსანდრე ლორთქიფანიძეს გახსნას ამავე სოფელში წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია.

✦ მკვლელობა. 17 მაისს, საღამოს, არქიელის მთაზე ხელთუფლიშვილის მამულის მოურავმა ბესარიონ შენგელიამ, რაღაც მცირე მიზეზისა გამო (საქონლის ბალახობისათვის), თოფით მოჰკლა სამუშაოდან შინ მიმავალი მელიტონ კოღუაშვილი. საჭიროა ასეთს საზიზღარ საქციელს მოურავისას ყურადღება მიაქციოს ხელთუფიშვილმა, თვით მამულის პატრონმა.

✦ კავკასიის სანოვაგის მომწყობი კომიტეტის წმუნებული ატყობინებს ქუთ ქალაქის გამგეობას, რომ სანოვაგის საქმის მოსაწესრიგებლათ დეპეშებში კომიტეტს ეხარჯება თვეში 400 მან., საიდანაც ქალაქ ქუთაის მოუწევს 30 მან. ამიტომ საჭიროა დეპეშებით გამოწვეული ხარჯები თვით დაინტერესებულმა პირებმა იდვან თავზე.

## ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

17 მაისი.

კრება გაიხსნა გუბერნიის მარშლის თ-დ დ. თ. ნიჟარაძის თავჯდომარეობით.

კრების დაწყებისას თავჯდომარემ წაუკითხა კრებას ხელმწიფისა და მეფის ნაცვლის საპასუხო დეპეშა, რომელსაც კრება „ურას“ ძახილით შეხვდა.

ხელმწიფე იმპერატორის საპასუხო დეპეშა: „გულწრფელად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, ლოცვის, ერთგულებისა და ძვირფასი სამშობლოს სასარგებლოთ სამსახურის სურვილებისათვის“.

ნიკოლოზი.

მეფის ნაცვლის საპასუხო დეპეშა:

გულითად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობას სალამისა და კეთილი სურვილისათვის, რომელმაც ფრიად მასიამოვნა დიდათ მოხარული ვარ, რომ ქართველი თავად-აზნაურობა სავსებით იზიარებს აზრს კავკასიის ყველა ერთა მეგობრული ერთობის აუცილებლობისას, მის შემოქმედებითი ძალების ასაყვავებლად მთელი ადგილობრივი ხალხის საკეთილდღეოთ. გულწრფელად ვუსურვებ აზნაურთა ჩვეულებრივ კრებას ყველა საკითხის სათანადო გარკვევას“.

გენერალ-ადიუტანტი. ნიკოლოზი.

კრებას მოხსენდა წინა დღეს არჩეულ იურისტთა კომისიის დადგენილება ალშიბაიას და სხვათა ცენზის მიცემის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იურისტთა კომისიამ საჭიროთ და კანონიერათ სცნო ეს კითხვა საზოგადო კრებაზე გარჩეულიყო.

თავჯდომარე ამ საკითხზე კამათს ხსნის.

ექიმი გ. ალშიბაია. ბოდიშს ვიხდი, თუ მე წინა კრებაზე აღელვებით უნებლიეთ ვინმეს უსიამოვნება მივაყენე (ხმები: ზედმეტია ბოდიშის მოხდა, მეტი გზა არ იყო).

თავ. გ. ჩიჩუა. ბ ბო, საჭიროა კამათი ქართულ ენაზე სწარმოებდეს. ჩვენ ამის უფლება გვაქს. აქ ბევრს რუსული არ ესმის.

თ-დი ი. აფაქიძე. ვრცლათ ეხება ამ საქმის გარემოებას და ამბობს: ზუგდიდის მაზრის მარშლის არჩევნებზე თავის კანდიდატურა წამოაყენა ექ. გ. ალშიბაიამ ბ-ნი ვლ. ალშიბაია და სხვა 9 აზნაური თხოულობენ არჩევნებში უფლება მიეცათ, მაგრამ, სამწუხაროთ, მათი ზნეობრივი მხარე ვერ იყო კეთილ-საიმედო და ამიტომ ვერ მივეცით მათ ხმა. ბ-ნ ვლ. ალშიბაიას მამულების ყიდვის საბუთები საეჭვო იყოვო.

ვლ. ალშიბაია. თ-დ აფაქიძეს სურს რაღაც უსაბუთო ჰიპოტეზებით და ამტკიცოს მისი ვითომდა სიმართლის პოზიცია. ის ლაპარაკობს რაღაც ზნეობასა და ჩემს მიერ ფიქტიურ ადგილების ყიდვაზე, მაშინ როდესაც საბუთები სულ წინააღმდეგს გვეუბნება. ჩვენ თუ გვინდოდა, რომ სამაზრო საკრებულოში საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიგვეღო, გვინდოდა სწორედ იმიტომ, რომ როდესაც ამა თუ იმ საქმეში ბევრი იღებს მონაწილეობას და მათ შორის აზრთა გაცვლა გამოცვლაა, უეჭველია, სარგებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის. მაშინ, რასაკვირველია, მაზრის მარშლის წინამძღოლობაზე დიდი შანსები არ ექნებოდა თ-დ ნ. დადიანს, ამას ის გრძნობდა და ამიტომ მთელი დაწესებულება 4—8 კაცს ჩაუგდო ხელში. შესაძლებელია თ-დი დადიანი ჯარის კარგი უფროსი იყოს, მაგრამ მაზრის მარშლად კი გამოუსადეგარია.

თ დი ნ. დადიანი თავს იმართლებს, თუმცა დასაბუთებული არა უთქვამს რა

ექ. გ ალშიბაია მე სრულიად არ მინდოდა თავად აზნაურობის საქმეებში, უდროობის გამო, გავრეოდი, მაგრამ ჩემი კანდიდატურის წამოყენება გამოიწვია ერთმა გარემოებამ რომ დროებით მხოლოდ მობილიზაციის დროს მქონოდა ასეთი თანამდებობა და კიდეც წამოვაყენე ჩემი კანდიდატურა თ დმა აფაქიძემ ჩემს კანდიდატურაზე ბ. კ აბაშიძის პირით თანხმობა განაცხადა, მაგრამ კენჭის ყრის დროს, რაღაც კომბინაციების წყალობით, შავი მომცა. მე პატიოსანი სიტყვა მივეცი თ-დ აფაქიძეს, რომ არც მე და არც ჩემი ძმა მარშლობაზე ყუთს არ დავიდგამდით ამ არჩევნებზე და თუ ჩვენ ახლა ვიბრძვით, გვინდა, რომ 11 კაცსაც მიეცეს უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამით ის გვინდა, რომ მარშლათ ამოვირჩიოთ ისეთი პირი, რომელიც საერთო ნდობით იქნება აღჭურვილი და რომლის წარსულიც შეეფერება დღევანდელ მის მდგომარეობასო.

ბ ქ. გოცირიძე მოითხოვს მიეცეს მას უფლება არჩევნებში მონაწილეობისა ქუთაისის მაზრიდანაც, რადგანაც მას ქ. ქუთაისში მამული აქვს.

თავჯდომარე თქვენ არ იცით, რომ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“ არ შეუძლია ყველა მაზრაში მონაწილეობის მიღება არჩევნებში.

გოცირიძე აძლევს საკრებულოს მდივანს წიგნს და მიუთითებს მუხლზე, სადაც ნაჩვენებია, რომ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“ ყველა მაზრაში შეუძლია ცენზი ქონდეს

თავჯდომარემ ეს საკითხი არ განიხილა, რადგანაც ამის შესახებ მას განცხადება დაუგვიანებია.

ყუთი დაუდგეს საკითხს—მიიღონ თუ არა, ბ-ნი ვ. ალშიბაია და 9 კაცი ზუგდიდის მაზრიდან, ხმის უმეტესობით ეს საკითხი უარყოფით გადაწყდა ამის შემდეგ თავჯდომარე კითხულობს შემდეგ სხდომაზე გასარჩევ საქმეებს და კრებას ხურავს.

## გურიის მასწავლებელთა კრება ქ. ოზურგეთში.

კვირას, 8 მაისსა, და ორშაბათს, 9 მ—სს, ქ. ოზურგეთში ადგილობრივ თეატრის დარბაზში მოხდა სრულიად გურიის სახალხო მასწავლებელთა არაჩვეულებრივი კრება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე რამდენიმე მასწავლებელი ბათუმის ოლქისა. კრებას დაესწრენ ორივე უწყების მასწავლებელნი—სამინისტროსა და სამრევლოსი, რიცხვით 100 კაცამდე. გასარჩევი იყო შემდეგი მორიგი კითხვები: სახელმძღვანელოების განხილვა-გამოცვლა; განსაზღვრული პროგრამის შემოღება ყველა სასწავლებელში; რამდენიმე პროცენტის გადადება მასწ. ჯამაგირებიდან ქ ქუთაისში ასაგებ სახალხო სახლის ფონდისათვის; ომში წასულ მასწავლებელთა ოჯახების დახმარება; სასწ ნივთების შეძენა და დაარსება ერთი ცენტრალი მაღაზიისა მთელ მაზრაში; სამაზრო წიგნსაცავის დაარსება; სახალხო კითხვებისა და ექსკურსიების მოწყობა; საგუბერნიო კავშირის საპატიო წევრის ბესარიონ ფარცვანიას წევრობიდან დათხოვნა; ზნეობრივი მხარე მასწავლებლებისა; სამღვთო სჯულის სწავლების შესახებ სასწავლებ.; ჟურნალ „სკოლა და ოჯახის“ შეჩერება; საპენსიო კასის შესახებ; მასწ. დასწრება საგუბერნიო კრებაზე; მეურნეობის მასწავლებელი (ებ. მ. ხერხეულიძის წინადადება); ვ. კილაძის წინადადებით პროტესტის გამოცხადება კავშირის სახელით „რუსკოე ვედ“ კორესპონ. და რედაქციას ყალბი ამბების მოთავსების გამო და პროტესტის გამოცხადება გაზ. „მეგობარს“, რომელმაც სრულიად ყალბი ცნობები მოათავსა ამავე კავშირის დამფუძნებელი კრების შესახებ (20 თებ.).

კრებამ ერთხმათ ამოირჩია თავჯდომარეთ ბესარიონ რამიშვილი, ხოლო მდივნათ მ. საბაშვილი.

კრება იხსნება შუადღის 12 საათსა და 58 წუთზე. პირველად გამგეობის თავჯ. პ. თოთიბაძემ გააცნო კრებას მოწვევის მიზანი და აღნიშნა, რომ გამგეობამ შეძლებისადაგვარათ მიიღო ყოველივე ზომა მასწ. ჯამაგირების ადრე დარიგების შესახებ და ახლა, როგორც თქვენც გაიგებდით, სხვადასხვა გაზეთში მოთავსებული ცნობებიდან დღიური ადრე უნდა დაგვირიგონ მით უფრო, რომ კრედიტი უკვე გახსნილიაო.

ივანე კალანდაძე ეკითხება გამგეობას, თუ რად არ ინება გამგეობამ ბათუმის ოლქის მასწავლებლებთან ერთად შეერთებულის ძალით ეთხოვნათ განათლების მინისტრისა და დეპუტატისათვის დღიურების საჩქაროდ დარიგების შესახებ, ან რად არ უპასუხა მან ბათომის ოლქის მასწავლებლების გამგეობას შემოტანილ წინადადებაზე.

თავჯდ. თოთიბაძემ პასუხი გასცა კალანდაძეს და განაცხადა, რომ ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა გამგეობას კრების დაუკითხავათ არ შეეძლო ამის [illegible] თად პასუხი გაეცაო.

მასწ. კალანდაძე პასუხს აძლევს თოთიბაძეს და ამბობს, რომ საშიში და შესაკითხავი აქ არაფერი იყო გაზეთებში უკვე მოთავსებული იყო ოფიციალური ცნობები, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა დაურიგდეს მასწავლებლებს დამატებითი ჯამაგირი (10 მ.); კავკასიის ოლქის მზრუნველმა ამის თაობაზე აცნობა სახალხო გან. მინისტრს, რომ დამატებითი ჯამაგირი მიიღეს თბილისის გუბერნიაშიო. ნამდვილად კი თბ. გუბერნიის მასწავლებლებმა მიიღეს დამატებითი ჯამაგირი არა 10 მან., არამედ 5 მან. და რომ ჩვენც აწნაირ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ, საჭიროთ ვსცანით ბათუმის ოლქის მასწ. თქვენთან ერთად გაგვეგზავნა დეპეშა, როგორც იგნატიევის, ისე დეპუტატის სახელზე, ხოლო თქვენ კი სდუმხართ და არავითარი პასუხი არ გაგვეცით და არც ეხლა იძლევითო. ლაპარაკის დროს ბ. კალანდაძემ გაზეთებში მოყვანილი წერილებითა და ცნობებით დაამტკიცა დღიურების შესახებ საქმის მიმდინარეობა; ამ გარემოებამ დიდათ ააღელვა მასწავლებლები, რომელნიც გაიყვენ ორ ჯგუფათ. ერთი ჯგუფი მოითხოვს დაუყონებლივ გაიგზავნოს დეპეშები: ერთი გრაფ იგნატიევის, ხოლო მეორე დეპუტატების სახელზე.

ი. ღომაძე შეეხო ამ ჯგუფის მოთხოვნას და აუწყა საზოგადოებას, რომ ასეთი ჩვენი მოქმედებით საფრთხეს მოვუმზადებთ ჩვენს ნორჩსა და ჯერ კიდევ გაუმლელ კავშირს, რომელსაც ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებია და შემდეგში მოელის თავის მოქმედების ნაყოფს.

ბ. ი. ღომაძეს ეთანხმება გამგეობის წევრი ბ. მ. რამიშვილი.

სტუდ. მ. ხერხეულიძე კრების თავჯდომარეს—ბ. რამიშვილს შენიშნავს, რომ დღეს, კვირას, როცა ქართველი ერი ასაფლავებს თავის სიამაყეს ი. ევდოშვილს—ჩვენ ფეხზე ადგომითაც პატივი ვერ ვეცითო. თავჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მგოსან ი ევდოშვილის ხსოვნას.

ამის შემდეგ გამგეობა შეურაცხყოფილათ გრძნობს თავს განსაკუთრებით ბ. კალანდაძის სიტყვების შემდეგ, რომ მასწავლებლები უკმაყოფილონი არიან გა-

---

ასეთი პასუხისთვის შალვამ გრძნობით დაუკოცნა ხელები. ელენეც თავისი მხრით მუბლზე ემბორა შალვას.

ამაზე შეწყდა ბაასი.

შემდეგში ხშირად ჰქონიათ გაცხარებული კამათი სიყვარულზე, მხოლოდ ყოველთვის ნაწყენი რჩებოდა... ყოველმხრივ გაურჩევიათ ეს თავბრუ დამსხმელი კითხვა, მაგრამ განა აქედან შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ შალვას ცოლობა ეფიქრნა ელენეს? მას ხომ არა უთქვამს რა გადაჭრით?!

შალვა კი დარწმუნებული იყო ამაში...

ელენე მხოლოდ შალვას სიკვდილს შემდეგ დარწმუნდა, რომ გაგიჟებით ჰყვარებია.

ეს იყო მიზეზი, რომ გული დაუკოდა ელენეს და სიამის ნაცვლად წამება დაერთო ზედ მის ქორწინებას.

აღარა ახარებდა — რა ..

უწინ თუ ებრალებოდა მხოლოდ, სიკვდილს შემდეგ შეუყვარდა შალვა, რომლის აჩრდილიც ყველგან თან სდევდა, არ აძლევდა მოსვენებას.

მოისურვა დავიწყება, სამუდამოდ აღმოფხვრა გონებიდან მისი ხსოვნისა... ებრძოდა კიდეც თავის თავს, მაგრამ ამაოდ... უძლური აღმოჩნდა ..

ხშირად გაუფიქრია ელენეს, ურწმუნებია თავი, რომ ის სხვას ეკუთვნის, რომ უნდა დაივიწყოს შალვა და რამდენადაც ძლიერი ყოფილა მისი ასეთი სურვილი, იმდენად მეტად დაუწყვია ფიქრი იმავე შალვაზე, იმდენად ყველგან მისი ჩაფიქრებული, ცისფერი თვალების გამოხედვა ელანდებოდა და არ აძლევდა მოსვენებას, იდუმალი ხმა მოესმოდა მისი: „აი თუნდ ჩემისთანა უბრალო მომაკვდავმა რომ გთხოვოთ ხელი წაჰყვებოდით თუ არა ცოლად?“

ერთადერთი იარაღი ასეთი მოგონების ჩასახშობად მხოლოდ ცრემლი-ღა დარჩენოდა, ხშირად ჩაკეტილა მარტო-დ მარტო და ცრემლთა გუბე დაუყენებია ბალიშზე პირქვე დამხობილს.

* *
*

შალვას სიკვდილის დღიდან ელენეს თვალში ყველაფერმა დაჰკარგა ფასი, მნიშვნელობა, შინაარსი.

თითქმის ჯვარდაწერილი ქმარი ნიკო-კი, ის ნიკო, რომელსაც პირველმა მან გამოუცხადა სიყვარული, რომელსაც თავს ანაცვალებდა, სასტიკად, ბოროტად, მისი ბედნიერების მტაცებლად, ყაჩაღ-მძარცველად მიაჩნდა, შეეზიზღა, შესძულდა, გაურბოდა და მარტოდ ყოფნას არჩევდა.

ისიც მიუხვდა ელენეს სულიერი ავადმყოფობის მიზეზს, დაუწყო გამხნევება, ურჩია დარდების, გულიდან გადაყრა, ანუგეშებდა ხშირად, გასართობად იწვევდა, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა თავის სისუსტეში, ასეთი საშუალების უარყოფით მხარეში და, რაც დრო მიდიოდა, ისიც ავად ხდებოდა სულიერად.

უწინდელი კისკისა, პირმცინარი და ამხანაგთა გამრთობ-გამამხიარულებელი ელენესი მხოლოდ აჩრდილი-ღა დარჩა, მოგონება.

ნიკო ხომ დღე სადმე ქალაში ემალებოდა ადამიანთ და საღამოობით თავის შეყვარებულ კონცხს მოაჯდებოდა და ფიქრობდა, თვითონაც არ იცოდა რაზე.

უდროვოდ ჩაჰქნა ელენე, გაყვითლდა, მომაკვდავს დაემსგავსა, თვალები-ჩაუშავჩაულურჯდა, სიცოცხლე და ცხოველ მყოფელობა დაეკარგა.

უკანასკნელ ხანებში ხშირად დაიწყო სიარული შალვას საფლავზე: მიიტანდა ყვავილებს, შემოუმწკრივებდა ირგვლივ, დაემხობოდა და ქვითინებდა უხმოდ, მთელი საათობით.

მანამდე რომ ისე გატაცებული იყო წიგნის კითხვით და ხშირად ოჯახიც ავიწყდებოდა კითხვაში გართულს, რა შინაარსისაც უნდა ყოფილიყო, ახლა ველარ ნახა ისეთი წიგნი, რომელსაც მისი დაინტერესება შეეძლო, ყველა ფუქსავატად ეჩვენებოდა..

სტრიქონსა და სტრიქონ შუა შალვას ნათქვამი მოელანდებოდა დაბეჭდილი და კვლავ ისევ ოხვრა-კვნესა და ქვითინი წასკდებოდა...

დღიურის განგრძობა მოინდომა... ახალი სათაურიც კი წააწერა: „საიდუმლო მიჯნურის თავის მოკვლით გამოწვეული განცდანი სულისა“. ხოლო ჩაწერით კი არა ჩაუწერია რა, მიუხედავად იმისა, რომ აუარებელი მასალა მისცა ახლად გადადგმულმა ნაბიჯმა... კალამი აღარ ემორჩილებოდა, ჩანაწერი სიტყვა შუაზე სწყდებოდა, ქაოსი გამეფდა მის დაავადმყოფებულ გონებაში, უსისტემო აუარება ნაგრძნობა-ნაფიქრის ნაცვლად კალამი სულ სხვას სწერდა მის უნებურად, გაუგებარ, ბუნდოვან აზრებს და შემდეგში თვითონვე რცხვენოდა.

* *
*

მარტოდ ჯდომა მოსწყინდა სახლში ელენეს...

— ნიკო, ნება მომეცი შენს გვერდით ჩამოვჯდე,— მიმართა კონცხზე გადამჯდარ ქმარს; ელენეს ხმის კილოში მოისმოდა ერთსა და იმავე დროს საყვედური, მუდარა და წყრომაც.

სიჩუმე ჩამოვარდა!

ორი ადამიანი, რომელთა სული და გული ერთ არსებას უნდა წარმოადგენდეს, სულ უცხონი, დაშორებულნი აღმოჩნდენ ერთმანეთისთვის...

შალვამ გათიშა ისინი...

მისმა თავის მოკვლამ გასწყვიტა ის შემაერთებელი სიმი, რომელსაც უნდა შეეკავშირებინა ორი შეყვარებული, ერთმანეთში გადაედუღებინა მათი გრძნობები, სული.

ნიკოს ის გარემოება აწამებდა და სტანჯავდა, რომ ბურუსით იყო მოცული მისთვის ელენესა და შალვას წარსული .. უნდოდა გაეგო და არ კი ჰკითხავდა, რომ არ გაეახლებინა ელენესთვის ძველი იარა; პასუხად ისეთი რამ არ გაეგონა, რაც უიმისოდაც დაკოდილ გულს ერთს ზედმეტ ჭრილობას მიუმატებდა; არც ელენე უამბობდა რასმე ამის შესახებ

ეჭვები აჩრჩობდა ნიკოს...

რამდენჯერაც მოისურვა ნიკომ მიმართვა ასეთი კითხვით და მიაშტერდებოდა ელენეს, უცბად ისეთი მავედრებელი თვალები შეხვდებოდენ, თითქოს ემუდარებოდა ელენე: „ნუ, მაგას ნუ მკითხავ, ჩემო სულის საუნჯევ, და სხვა რაც გსურდეს“... და გაფითრებული ნიკოც იმ წუთას უკან იხევდა, აღარას ჰკითხავდა.

— ელე, ჩემო ელე,— დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მიმართა ნიკომ,—გახსოვს აი, აქ, სწორედ ამ ადგილზე, რომ აღთქმა მივეცით ერთმანეთს?!..—პირი მოიბრუნა ელენესკენ და ფერმკრთალი ნიკო მთლად გაფითრებული მოსჩანდა მთვარის შუქზე; ელენე უკვე გვერდით მოსჯდომოდა ნიკოს და მხრებზე ჩამოეწყო ხელები.

— ნიკოს ხმა აუკანკალდა, გასჩუმდა, ველარა სთქვა-რა. მხოლოდ მგრძნობიერი ოხვრა-ღა აღმოხდა მკერდიდან და დაბლა დახარა თავი.

აქვითინებულმა ელენემ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო სლოკინით:

— მახსოვს, მახსოვს! .—იმ დროსაც სწორედ ასეთი მთვარიანი ღამე იყო... შეჩერდა, სული მოიბრუნა, მაგრამ მცირე დუმილის შემდეგ თავს ძალა დაატანა და კვლავ განაგრძო,—ნიკო, ნუ თუ წარმოდგენილი გქონდა, რომ ეს ბოლო მოელოდა ჩვენს სიყვარულს?! სადღაა ის ზეამტაცი აღმაფრენა, ფრთა შესხმული იმედები?

— რად იცრუე, ელე, ჩემო ელე? აკი მეფიცებოდი, მიყვარხარ, შენს მეტი არავინ მინდა ამ ქვეყნადო, აკი მარწმუნებდი შენს სიყვარულში?..—მორბილებული და ალერსიანი კილოთი ჰკითხა ნიკომ.

— მერე და ეჭვი გეპარება მაშინდელ ჩემს გულწრფელობაში?—კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ელენემ, რომლის ხმაშიც ენერგია, ძლიერების კილო გამოსჭვიოდა.

ნიკოს ნათქვამი „იცრუე“ მეხივით მოხვდა ელენეს სულს, არ მოელოდა წარსულ გრძნობათა შეურაცხყოფას...

აღიჭურვა ვეფხვის სიმძაფრით, რომელიც ტყვეობიდან განთავისუფლდა: ზეზე წამოვარდა, დოინჯი შემოიყარა და ისეთი პოზა მიიღო თითქო თავის მსხვერპლზე თავდასაცემად ემზადება გააფთრებული არწივიო

ასეთ მკვახე პასუხს სულ არ მოელოდა ნიკო ელენესაგან, დარწმუნებული იყო, რომ ელენე ბოდიშს მოიხდიდა მასთან, პატიებას სთხოვდა, და აღუთქვამდა შალვას დავიწყებას; ამითი ბოლო მოეღებოდა მის შეკითხვას, ელენე გააქარწყლებდა მის ეჭვიანობის საფუძვლიანობას. მის მოულოდნელ პასუხზე კი დაიბნა ნიკო, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა... ტუჩები აუცახცახდენ, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ისევ სიჩუმე არჩია და სასოწარკვეთილმა ჩააქნია ხელი, რაც არ გამოეპარა ელენეს და აღელვებულმა მიმართა:

— დიახ, დიახ, ბრძანეთ, ნუღარ მერიდებით... გინდათ მისაყვედუროთ, რომ შალვა მიყვარდა და თქვენ კი წამოგყევით ცოლად, არა?.. უკაცრავად, ამის უფლება არა გაქვთ, რადგან ეს უზნეობა იქნებოდა თქვენის მხრით, უსირცხვილო და უტიფარი სიცრუე... მე ის არ მყვარებია არასოდეს...

·— ელენე!!—სიტყვა გააწყვეტინა ნიკომ,—უსინიდისოდ სცრუობ, გიყვარდა...—და წამოხტა გველნაკბენივით, ხელი დაუჭირა და თვალებში ჩააცქერდა, იქ უნდა ამოეკითხა პასუხი, მაგრამ დააგვიანდა: ღრუბელი წამოებურა ღამის გუშაგს, ჩამობნელდა უცებ და ველარა გაარჩია-რა ნიკომ ელენეს თვალებში.

მგეობის მოქმედებით დღიურ საკითხში რო და სთხოვა კრებას გადაყენება. კრება ნდობას უცხადებს გამგეობას.

შემოტანილ იქნა ორი წინადადება: 1) გაიგზავნოს დეპეშა სახ. გან. მინისტრისა და დეპუტატების სახელზე; 2) გაიგზავნოს დეპეშა მხოლოდ დეპუტატების სახელზე. დიდი კამათის შემდეგ მეორე წინადადება მიიღო კრებამ ხმის უმეტესობით.

ეკლექტიკი.

## ჯიმშელეიშვილის ანდერძი.

ჩვენი საზოგადოება იმდენად ღარიბია, როგორც ნივთიერად, ისე კულტურულად, რომ საჭიროა დიდი ენერგია, რომ ის ოდნავად მაინც წინ წაიწიოს. ამ მხრივ მთავარი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ძალების შეკავშირებას და ამ კავშირების წყალობით მოწესრიგებულ თვითმოქმედებას. ქველმოქმედებას საზოგადო საქმეში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სრულიად უარყოფა შეუძლებელია, ვინაიდან ძვირფასია საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი ყოველი წვლილი, განსაკუთრებით ჩვენში. ჩვენს ხალხს ელემენტარული მოთხოვნილებებიც არ აქვს დაკმაყოფილებული. ამ მხრივ საინტერესო მოვლენაა ჩვენ საზოგადოებაში რომ ზოგიერთი პირები, რომელთაც დიდი ქონება შეუძენიათ, ქონების ერთ ნაწილს საზოგადოებას უზიარებენ. ასე მოიქცა სოფელ კუხის მცხოვრები განსვენებული ვიორგი ჯიმშელეიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1912 წ. 18 ნოემბერს.

მან უანდერძა ხონის საზოგადოებას 40,000 მან. საავათმყოფოსათვის; უანდერძა აგრეთვე რამოდენიმე ათასი მანეთი ხონის პროგიმნაზიას, (ახლა გიმნაზიად გადაკეთებულს), ხონის სემინარიას, კუხის საზოგადოებას და სხ. მას მემკვიდრეებათ რჩებოდა ორი ძმა—გაბრიელ და ხარიტონ, რომელთათვის არ შეიქნა სასიამოვნო მიცვალებულის ამნაირი განკარგულება და ამიტომ მათ განიზრახეს როგორმე გაეუქმებიათ ეს ანდერძი; ამისათვის მათ შეთხზეს, თითქო მიცვალებული სიკვდილის წინ შეშლილი იყო, და თითქო ანდერძს მოწმეებმა გარდაცვალების მეორე დღეს მოაწერეს ხელი. იშოვეს კიდევაც ერთი მოწმე, რომელსაც ანდერძზე ხელი ქონდა მოწერილი,—ხუციშვილი; უკანასკნელმა სთქვა: ანდერძზე მეორე დღეს მოვაწერეთ მოწმეებმა ხელიო, მაგრამ მეორე მოწმემ, 75 წლის დეკანოზმა, ზედგინიძემ კატეგორიულად განაცხადა, ანდერძი განსვენებულმა ორივეს წაგვიკითხა, და იმის წინ მოვაწერეთ ხელიო. გარდა ამისა, შემდეგ იმისა, რაც მოწმეებმა ხელი მოაწერეს, განსვენებულმა თავისი ხელით წააწერა, თუ სად ინახებოდა ფული; რომ მოწმებს მის სიკვდილის შემდეგ მოეწერათ ხელი, ასეთი წარწერა შეუძლებელი იქნებოდა, ის თვით ტექსტში დაიწერებოდა. შერმედ გამოირკვა, რომ ანდერძი დახურულ კონვერტში გადაეცა განსვენებულის ძმას, ხარიტონ ჯიმშელეიშვილს, ბოქაულმა მას ბეჭედი დაარტყა; განსვენებული ჯიმშელეიშვილის ძმას დიდის ვაგლახით გამოსტაცეს შემდეგში ეს ანდერძი. ანდერძში, განსვენებული არაფერს უტოვებდა ხარიტონ ჯიმშელეიშვილს, მხოლოდ მის შვილებს დაუტოვა 8,000 მან. გამოდიოდა ისე, რომ სწორედ ძმა, რომლის ხელში კანონის ძალით მთელი ქონების ნახევარი გადავიდოდა, ცდილობდა თითქო თავის თავი გაეწკეპლა უნტეროფიცრის ცოლივით, ძმის გარდაცვალების მეორე, დღეს ეძებდა მოწმეებს, რათა ანდერძისთვის კანონიერი ფორმა მიეცა! რასაკვირველია, არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ამას არ დაიჯერებდა. აი ასეთი ყალბი მასალებით წარსდგენ 12 მაისს გაბრიელ ჯიმშელეიშვილი და მისი ინტერესების დამცველი, პირველი დუმის ყოფილი დეპუტატი სერგეი ჯაფარიძე ქუთაისის ოლქის სასამართლოს წინაშე და მოითხოვდენ ანდერძის გაუქმებას, ე. ი. საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ქონების წართმევას.

საზოგადოების ინტერესების დამცველად ცნობილი ქუთაისელი ვექილი დ ხელთუფლიშვილი გამოვიდა. მისი შესანიშნავად დასაბუთებული და კეთილშობილური აღშფოთებით აღსავსე სიტყვის შემდეგ საეჭვო არ იყო, რომ საოლქო სასამართლო ანდერძს დაამტკიცებდა და კიდევაც დაამტკიცა იგი.

ჩვენ დიდად დამნაშავეთ ვსთვლით იმ ვექილს, რომელიც საზოგადოებისა და კერძო გაუმაძღარ პირის ინტერებების შეჯახების დროს, უკანასკნელს „იცავს“ განსაკუთრებით მიუტოვებელია ეს იმ ვექილისათვის, რომელსაც მშრომელმა ხალხმა პარლამენტის ტრიბუნაზე თავის უფლების დაცვა მიანდო.

ვლ. ემუხვარი.

„კოოპ.“

## პროვინციის ცხოვრება.

**ს. უკანეთი.** სოფ. უკანეთში შემდგარ კულტურულ წრეს განზრახული ჰქონდა, დიდებული თამარის დღესასწაული პირველ მაისისათვის მოეწყო. სხვადასხვა ხელის შემშლელ მიზეზების გამო აღნიშნულმა წრემ თავის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა პირველ მაისს და 19 მაისისთვის გადასდვა, რომელ რიცხვსაც წელს ქრისტეს ამაღლების დღესასწაული ხვდება. დღესასწაულში გულმხურვალე მონაწილეობას ღებულობენ უკანეთის სამინისტრო სკოლის ახალგაზრდა და ოფიცი მოსწავლეები. სასურველია დღესასწაულს ბევრი ხალხი დაესწროს, ამისათვის ახლად შემდგარი უკანეთის წრე უმორჩილესად სთხოვს ამ სოფლიდან გამოსახლებულ ქუთაისურ ინტელიგენციას თავიანთი პატარა დამაზი სოფელი გაიხსენოს და წმინდა თამარის დღესასწაულს დაესწრონ.

მ. ფარცხნალელი.

**დ. ტყიბული** (ოკრიბა). გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, თუ რა დიდი დახმარება შეუძლია მოიტანოს ხალხს მომხმარებელი საზოგადოების დაარსებას. ეს რჩევა დარიგება თუმცა დღესაც ბევრისთვის დარჩენილა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ მან მაინც ჰპოვა ნიადაგი თვით ისეთ კულტურულად ჩამორჩენილ კუთხეებშიაც კი, როგორიც არის ოკრიბა. სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დაბა ტყიბულში უკვე დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „ცხოვრება“. პირველი კრება ამ საზოგადოებისა მოხდა ამ წლის მაისის 9 ს კრებას დაესწრნენ, როგორც წევრნი (მათ უმრავლესობას შეადგენენ ტყიბულის ქვანახშირის შეგნებული მუშები), აგრეთვე თვით დამფუძნებელნიც ხსენებულ საზოგადოებისა: ბ-ნი ილ. ფოფხაძე, მიხ. კბილაძე და ბ. კვინიხიძე, რომლებიც დიდი მადლობის ღირსი არიან შრომისათვის. ყველა დამსწრეთაგანს სიამოვნების ელფერი ემჩნეოდა სახეზე, რადგან გრძნობდენ, რომ ფრიად სიმპატიურ საქმეს ედებოდა საძირკველი; ყველა მათგანი გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას ვაჭრებისადმი და ამასთანავე პირობას აძლევენ ერთმანეთს, რომ რაც შეიძლება ხელი შეუწყონ ამ ახლად ფეხმოკიდებულ საქმეს. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კრებამ აირჩია საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: ბ-ნი იაკ. არაზოვი, პლ. ბოჭორიშვილი, მიხ. კბილაძე, აკ. ცერცვაძე და ი. ობოლაძე; მათ კანდიდატებად: ამ. ბოჭორიშვილი, მან. ბრეგაძე, მეთ. კუბლაშვილი, ვას. ქათამაძე და ბეს. ცირეკიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: თავ. სიმ. ნიჟარაძე, პეტ გახიძე და ლევანტი ბოჭორიშვილი; მათ კანდიდატებათ: სერ აფრამოვი, ნიკ ჩხაიძე და ვლ. ბოჭორიშვილი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩეულნი პირნი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და გაამართლებენ ნდობას, რომლითაც ისინი აღჭურვა საზოგადოებამ. ვუსურვოთ ახლად დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოება „ცხოვრებას“ აყვავება, რომ მას საშუალება მისცემოდეს, გააადვილებიოს ცხოვრება ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა.

წამსვლელი.

## რუსეთი.

იუსტიციის მინისტრს სენატში შეუტანია პროექტი სასამართლოში მიცემულთა და ტუსაღთა გაწვევის წესრიგის შესახებ. წინადადება უკვე დაუმტკიცებიათ სამხედრო, იუსტიციის, საზღვაო და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და მალე გამოქვეყნდება.

— —

რუსეთის ვაჭარ მრეწველთა საერთო მოგებას ომის განმავლობაში არა-თუ დაუკლია, არამედ საგრძნობლად უმატნია. 1913 წელს მოგება უდრიდა 880 მილ. მან., 1914 წ.—935,3 მილ. მან, მხოლოდ 1915წ.—1,049,9 მილ. მან.

— —

ბურცევი ისევ პეტროგრადში რჩება.

— —

ჩელნოკოვის სიტყვით, მოსკოვის ადმინისტრაციას ნაბრძანები ჰქონია ყრილობათა აკრძალვა.

— —

„კავკაზსკოე სლოვოს“ ცნობით, მუსულმანთა ფრაქციის თავჯდომარე თევქელევს დეპეშით შემოუთვლია კავკას. ერობის ყრილობის ერთ ერთ მუსულმან წევრისათვის: ყრილობის მიერ შემუშავებული პროექტი ეწინააღმდეგება ადგილობრივ თვითმართველობის პრინციპებს და ამიტომ ფრაქცია მხარს არ დაუჭერს მას სათათბიროში განხილვის დროსაო. ჩვენ მოვალენი ვართ არ ვუღალატოთ თვითმართველობის დემოკრატიზაციის პრინციპს, რაც უნდა ძნელი პირობა იყოსო.

## უცხოეთი

### კინტალის სოციალისტური კონფერენცია.

შვეიცარიაში ბერნის კანტონ კინტალში შემდგარა სოციალისტთა ყრილობა, რომელიც უნდა ყოფილიყო განგრძობა ციმერვალდის კონფერენციისა, მაგრამ უკანასკნელს ვერ შეედრება კინტალის კონფერენცია, ვერც მასში მონაწილე წარმომადგენელთა რიცხვით და ვერც პრაქტიკული მუშაობით კინტალის კონფერენციამ შეიმუშავა მხოლოდ ზოგადი მოსაზრებანი, რომელნიც არც ერთს პრაქტიკულ მუშაობაში სახელმძღვანელოთ არ გამოდგებიან. გამონაკლისს შეადგენს მოწოდება, რომლითაც მიმართავს კონფერენცია სამინისტროში მყოფ ნაციონალური თავდაცვის სოციალისტებს, რათა უკანასკნელებმა თავი გაანებონ სამინისტროში მუშაობას.

კონფერენციას არ დასწრებიან წარმომადგენლები: ინგლისისა, საფრანგეთისა და ბელგიისა, რომელთა სამინისტროებშიაც სოციალისტები მუშაობენ. ეს ერთადერთი მოწოდებაც კი თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

## შემოწირულობა.

„სინათლის“ სეირნობისათვის კიდევ შემოსწირეს: მელანია გველესიანისამ—ნახატიანი ბალიში, ზინკერის მაღაზიამ—ბალიშის გადასაფარებელი, ვერა მიხ. ასათიანის ასულმა—სასუფრის გადასაფარებელი, მ. ო. ვარდოსანიძისამ—ნაქარგი ბალიშის პირი, თამრიკო ბაქრაძემ—2 იაპონური ვაზა, ვ. ზ. მაჭავარიანისამ—აბრეშუმის ბალიში, გრ. აღმიბაიამ—ვერცხლის მაშა, ალექსანდრე ლორთქიფანიძემ—საშაქრე. ვ. ა. აღმიბაიამ—პრესპაპიე, აკაკი ფაღავამ—ნაქარგი სუფრა, პეტრე კაბულაშვილმა—ვაზა, შლაპ, დაია და სასნიკა ჭილაძეებმა—საყავე, ლანგარი, ხელსახოცის რგოლი, ნაქსოვი ხელსახოცი და ფინჯანი, ვ. კორძაიას ასულმა—ნაქარგი ბალიშის გადასაფარებელი, კნ. იულია მიქელაძისამ—2 ვაზა, ელიზა მიქელაძის ასულმა—სათამაშო, ლევან გასპარაშვილმა—საფერფლე და სურათი, ლევან ბოკერიამ—უთო, სადიკოვმა—საპონი, იოველ ფორჩხიძემ—2 ქოთანი, არსენ ჭელიძემ—დოქი, შალამბერიძემ—ერთი შეოთხედი გირ. ჩაი, ერთი მეოთხედი გირ. ყავა და შპაკატი, ყორყოლაძემ—1 კოლოფი კამფეტი და 2 კოლოფი ბისკვიტი, თომა მთავრიშვილმა—კალენდარი წასაშლელი, პორტმონე, ჩარჩო, ფერადი ფანქრები, 7 კალმის ტარი, 2 დასავეცი ფანქარი და 12 ფანქარი, ოლ. შარაბიძემ შეაგროვა შემდეგი ნივთები ბავშების ლოტარიისთვის: აჩიკო შარაბიძისაგან—პატარა სარძევე, ვახტანგ შარაბიძემ—ქილა, ..., ... შარაბიძემ—ნაქსოვი საყელო, პატარა ... და მარგარიტა შარაბიძეებმა—ნაქარგი, ... შარაბიძემ—ნაქარგი ..., ... შარაბიძემ პატარა ... შარაბიძემ—სურათი ..., ... ნაქარგი საყელო და სამაჯურები, მართა შარაბიძისამ—თმის დასახვევი, ოლიმპია შარაბიძისამ—სასუფრის გადასაფარებელი, კატო შარაბიძემ—ნაქარგი წერილების ჩასადები, ლუბა შარაბიძისამ—5 ნოტის წიგნი და ნაქარგი ბალიში, ქეთევან ლეჟავასამ—ნაქარგი ბალიშის პირი, ალექსანდრა ცქიტიშვილისამ—ნაქარგი პირსახოცი, ოლია შარაბიძემ შემოსწირა აბრეშუმით ნაქარგი სასუფრის გადასაფარებელი და აბრეშუმით ნაქარგი 6 ჩაის ხელსახოცი.

ფულათ შემოსწირეს: შავი ქვის მრეწველთა საბჭო—25 მ., ალექსანდრე კრინიცკიმ—5 მ., სპირიდონ ნიჟარაძემ—5 მ., ნადია ქუთათელაძემ—3 მ., მ. ვ. ლორთქიფანიძისამ—3 მ., კონსტანტინე მელაშვილმა—3 მ., სერგო მახარაძემ—2 მან., ნინო ლორთქიფანიძისამ—1 მ., ნერსეს აკოფოვმა—50 კ., ე. დამბაშიძის ასულმა—1 ნაქარგი სასუფრე გადასაფარებელი და 9 ხელსახოცი, ძმ. გ. და ა. ფეიქაროვებმა—2 სურათი, ალბომი სურათებისთვის, მუნდშტუკი, ჩის მსხალი.

## წერილი რედაქციის მიმართ,

ბ-ნო რედაქტორო!

პატივცემულ თქვენი გაზეთის „სამშობლოის“ № 352 უ. მეთვალყურის შენიშვნა: ვითომ მღვდელ მოქმედების ასასრულებლად ჩვენი მრევლი ვერ მშოვნილობდეს თავის დროზე ჩემი გაკვეთილების გამო, წირვას 8 საათ. ვათავებდე და სხვა—მოკლებულია ყოველ სიმართლეს და ვსთვლი თავს შეურაცხყოფილად.

ამისათვის გთხოვ ბ. რედაქტორო, რომ უ. მეთვალყურემ გაზეთის საშუალებით უარჰყოს ჩემდამი წამოყენებული უსამართლო ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამისახელოთ ბ. მეთვალყურის ვინაობა, რომ პასუხი ვაგებინო მას მართლმსაჯულების წინაშე ჩემზე შეთხზულ ცილისწამების გამო *)

დეკანოზი ალექსანდრე შანიძე.

12 მაისი 1916 წ.

*) ვწუხართ, თუ ბ მეთვალყურემ შეცდომაში შეგვიყვანა, იმედი გვაქვს ბ-ნი მეთვალყურე არ დააყოვნებს და თვითვე დაენახვება მამა ალ. შანიძეს. რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

---

ნიკო კვლავ მორბილდა რამდენიმე წუთის შემდეგ, მოლბა და ჩუმი ხმით სახე შებრუნებულმა განაგრძო:

— მაპატიე, ელე, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მოგაყენე; თავი ვეღარ შევიკავე და წამომცდა ჩემდაუნებურად, რაც არ უნდა მეთქვა; – ხელიც გაუშვა.

მეტიც აღარ უნდოდა ელენეს: მოზღვავებულმა გრძნობამ იფეთქა, მზად იყო კბილით დაეჭამა თავისივე ხორცი... აცახცახ აკანკალდა... თრთოლვა დაიწყო შემოდგომის გაცრცვნილი ფოთოლივით

არა, დიდ პატივს ვსცემდი შალვას, თუმცა კიდევ გაგიმეორებ, რომ არასოდეს არ მყვარებია მე ის,—თითქო დამშვიდებული კილოთი მიუგო ელენემ,—ახლა კი სიკვდილს შემდეგ შემიყვარდა, დიახ, ვგრძნობ, რომ სულის მეგობარი დამიკარგავს, ტოლი და დავობლებულვარ; ვგლოვობ მას, ვგლოვობ ჩემ სიახლგაზ დავეს, ვგლოვობ პირველ სიყვარულს...

ნიკოს აღარ გაუგონია მისი უკანასკნელი სიტყვები... უკვე გასცლოდა იქაურობას...

* * *

„ძებნას ნუ დამიწყებთ... ვერ მნახავთ“... საწერი მაგიდის წითელ საშრობ ქაღალდზე ნახეს მეორე დღეს ნიკოს ხელ ნაწერი მოყვანილი ორი წინადადება.

* * *

— აი, დედა, ჩემო საყვარელო დედა, ისევ თვალწინ მიდგას ის სურათი—არ დამვიწყებია... მაშინაც ასე ჰახჰახებდა მზე,—ძლივს გააგონა მშობლის მკერდზე მისვენებულმა და უკვე წმინდა სანთელივით ჩაყვითლებულმა ელენემ,—მაშინაც ასე უხვად აფრქვევდა თავის სურნელებას ჩემი ფანჯრის დარაჯი—ცაცხვი, ასე შრიალებდენ ჭანდრის ფოთლები და ნანას მიგალობდენ...

ელენეს სუნთქვა შეეკრა, თვალები წამოებურთნენ, ხველა უნდა ასტეხოდა, მაგრამ, სული ჩაითქვა და თავიდან აიცილა ხველა, რასაც შემზარავი ხროტინი და გულის ცემა მოჰყვებოდა ხოლმე ყოველთვის.

— რა ბედნიერად მოგქონდა თავი, გახსოვს, მეც უბედნიერეს ქალად მთვლიდი?.. ბალიშზე მომასვენე, ჩემო დედიკო, დაგტანჯე. სიბერე გაგიმწარე, მაგრამ აი, სულ მალე გაგანთავისუფლებ ჩემ მოვლა-მზრუნველობისაგან.. ხომ არ გამიწყრები, შენ ელიკოს? მამასთანაც დამიდექ შუამავლად, იმანაც მაპატიოს, თუ ნაწყენია ჩემზე...

დედამ ფრთხილად მიასვენა ბალიშზე ძვალ-ტყავად ქცეული ელენე...

ელენეს მიეძინა.

აქვითინდა ელენეს დედა.. დარწმუნებული იყო, რომ აღარ ჰქონდა მას დიდიხნის სიცოცხლე... ფარვანასავით თავს დასტრიალებდა:

— შვილო, შენ შემოგევლოს ჩემი თავი... ჩაგრულთ სასოო, ღვთისმშობელო, მიიღე ჩემი გაძალლებული სული, გევედრები, ოღონდ ჩემი ელიკო, ჩემი კოპწია გოგო შემარჩინე,—მუხლებზე დაყრდნობილი ევედრებოდა კუთხეში დაკიდულ ხატს..

ევედრა დიდხანს.. მიაცქერდა ხატს, თითქო თანაგრძობა აღმოიკითხა მის თვალებში და იმედი მიეცა მშობელს.

— მოვდივარ, მოვდივარ, ჩქარა მოგეწევი,—წამოიყვირა ავადმყოფმა და მარდად წამოჯდა ლოგინზე; ხელები გაუწოდა და ვიღასაც მიაშტერდა სივრცეში...

შეშლილივით წამოვარდა ელენეს დედა და სწრაფად მიაშურა, გულზე მიისვენა, დაუწყო რჩევა, რომ აწყენს ხმამაღლა ლაპარაკი და დამშვიდება სთხოვა.

— იქ, იქ, იმასთან...—იყო ელენეს უკანასკნელი სიტყვები და მოწყვეტილი დაეშვენ გაწვდილი ხელები...

გ. შუშლაძე.

---


მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.



საღი კუჭი

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)